ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №41

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

დ. ადიგენი 28 მარტი 2018 წელი

ერთის მხრივ ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია (მის.: დ. ადიგენი, თამარ მეფის ქ.№5, ს/კ 222729162, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, ა/ა GE24NB0330100200165022) წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის ზაქარია ენდელაძის სახით შემდგომში „შემსყიდველი" და მეორეს მხრივ ინდ. მეწარმე „სიმური თარხნიშვილი" (მის: ქ. ახალციხე, მიქუტიშვილის ქ.№1, ს/კ 47001035687, ა/ა GE94LB0112141480007000, ს.ს „ლიბერთი ბანკის", ბანკის კოდი LBRTGE22) წარმოდგენილი სიმური თარხნიშვილის სახით შემდგომში „მიმწოდებელი" გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია საქონლის შესყიდვა.

2.ხელშეკრულების ობიექტი

2.1 ხელშეკრულების ობიექტია 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტიდან აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით მისალოცი ბარათების შესყიდვა თანდართული ფასების ცხრილის დანართი №1-ის შესაბამისად.
-კლასიფიკატორის კოდი - 22300000.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება გამოისახება ლარებში და შეადგენს 595(ხუთასოთხმოცდათხუთმეტი) ლარს.

4. შესასყიდი საქონლის ხარისხი

4.1 შესასყიდი საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფო სტანდარტებს.

5. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

5.1 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან მ/წლის 3 აპრილის ჩათვლით.

5.2 მიწოდების ადგილია, დ. ადიგენის თამარ მეფის ქ.№5, ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია.

6.საქონლის მიღება -ჩაბარების წესი

6.1 ხელშეკრულების ობიექტი ჩაითვლება მიღებულად, მხოლოდ სათანადოდ შედგენილი მიღება ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7. ანგარიშსწორების ფორმა და გრაფიკი

7.1. ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში უნაღდო ანგარიშსწორებით „მიმწოდებლის" მიერ სათანადო დოკუმენტაციის (სასაქონლო ზედნადების) საფუძველზე გაკეთებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. ,,მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას მიაწოდოს მოთხოვნილი საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში 5.2. პუნქტში მითითებულ მისამართზე დანართი #1-ის შესაბამისად.

8.2. ,,შემსყიდველი" ვალდებულია აუნაზრაუროს ,,მიმწოდებელს" საქონლის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

9.1. მხარეები პასუხისმგებლები არიან ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის საქართველოს მოქმედი პასუხისმგებლობის შესაბამისად.

9.2. ,,მიმწოდებელს" ეკისრება პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელშეკრულების 0,3 %-ის ოდენობით.

9.3. იმ შემთხვევაში თუ დავალიანების თანხა მიაღწევს მთლიანი ღირებულების 5%-ს შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მის პასუხისმგებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებები შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორი გარემოებების შედეგი.

10.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათ კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ,,შემსყიდველისა" ან ,,მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორი გარეომოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და ცდილობს გამონახოს შესრულების ისეთი ალტერნატიურლი ხერხები, რომლების დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. მხარეებს შორის წარმოქმნილი სადაო საკითხები გადაწყდება ურთიერ-მოლაპარაკების საშუალებით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში კი სასამართლოს მეშვეობით.

11.2. მხარეები სრულად აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12.ინსპექტირების პირობები.

12.1. ,,შემსყიდველს" უფლება აქვს შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხი და ვარგისიანობა. დეფექტების გამოვლენის შემთხვევაში მოთხოვოს ,,მიმწოდებელს" წუნდებული საქონლის გამოცვლა და ზარალის ანაზღაურება.

12.2 ,,შემსყიდველის'' მხრიდან ინსპექტირებას განახორციელებს კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურის საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **ზურაბ ბეთხოშვილი**;

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელის მოწერიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 მაისის ჩათვლით;

13.2. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

,,შემსყიდველი":

ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია
ს/კ 222729162
სახელმწიფო ხაზინა TRESGE22;
ა/ა GE24NB0330100200165022, ს/კ 222729162

მუნიციპალიტეტის მერი: /ზ. ენდელაძე/

,,მიმწოდებელი":

ინდ. მეწარმე ,,სიმური თარხნიშვილი'';
მის: ქ. ახალციხე, მიქუტიშვილის ქ.№1;
ს/კ 47001035687, ა/ა GE94LB0112141480007000;
ს.ს ,,ლიბერთი ბანკის", ბანკის კოდი LBRTGE22.

ი.მ: /ს. თარხნიშვილი/

ფასების ცხრილი

დანართი №1

#	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი(ლარი)	ჯამი(ლარი)
1	მისალოცი ბარათები	ცალი	350	1,7	595
		სულ ჯამი(ლარი)			595

ინდ/მეწარმე:

ს.თარხნიშვილი

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

დ.ადიგენი

28 მარტი 2018 წელი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით ხელშეკრულებაში ,,შემსყიდველი" მხარის წარმომადგენლები ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2018 წლის 28 მარტს გაფორმებული №41 ხელშეკრულებაში ი/მ ,,სიმური თარხნიშვილი"-თან მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ადიგენის მუნიციპალიტეტის მერი: ზაქარია ენდელაძე

ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, სამსახურის უფროსის მ/შ: ზ.ბეთხოშვილი